ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 575

22 ნოემბერი
"---" -------- 2024 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზ. №5-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.14.14.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უნივერსისთვის" (ს/ნ. 204915333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №5-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.14.14.010.032) შპს „უნივერსისთვის" (ს/ნ. 204915333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2024 წლის 16 ოქტომბრის №24.1719.1946 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი №5-ის მიმდებარედ არსებული 53 კვ.მ. მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.14.14.010.032) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „უნივერსისთვის" (ს/ნ. 204915333) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემაზე, ღია კაფეს მოწყობის მიზნით.
2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 19080 (ცხრამეტი ათას ოთხმოცი) ლარის ოდენობით.
3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ტყემალაძე